



დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 30.06.2023 წ. N36 დადგენილებით

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პლაგიატის ამომცნობი პროგრამის Turnitin-ის მოხმარებისა და პლაგიატის დამდგენი კომისიის საქმიანობის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. Turnitin-ის მოხმარებისა და პლაგიატის დამდგენი კომისიის საქმიანობის წესი (შემდგომში წესი) განსაზღვრავს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი“) აკადემიური და სტუდენტურ სივრცეში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს, არეგულირებს პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და რეაგირების საკითხებს, აგრეთვე პლაგიატის დამდგენი კომისიის საქმიანობის პრინციპებს, მიზნებს, ამოცანებს, უფლებამოსილებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს.

2. Turnitin-ის პროგრამა გამოიყენება წერიტი დავალებების (რეფერატი, პრეზენტაცია, პროექტი, გეგმა, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების, სტატიების და სხვა წერილობითი ფორმით შესრულებული) აკადემიური კეთილსინდისიერების დანერგვისა და ხელშეწყობის მიზნით (შენიშვნა: ნაშრომი უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი სამეცნიერო წერის სტილის სახელმძღვანელოს (რომელიც შემუშავებულია საერთაშორისო პროექტის INTEGRITY-ის ფარგლებში) მიხედვით განსაზღვრულ მოთხოვნებს).

3. Turnitin-ის პროგრამის დანერგვის მიზანია სასწავლო უნივერსიტეტის მისიისა და სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით აკადემიური კეთილსინდისიერების ამაღლება.

4. წინამდებარე წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- **პლაგიატი** - სხვისი ინტელექტუალური შრომის (მთელი, ან ნაწილი) შედეგის, ტექსტის, იდეის, არგუმენტების განზრახ, ან უნებლიედ საკუთრად წარმოჩენა/მითვისება და გავრცელება ავტორის მითითების გარეშე. პლაგიატი არის სერიოზული აკადემიური თაღლითობის ფორმა და ინტელექტუალური არაკეთილსინდისიერება, ქურდობა, რომელიც არა მარტო არაეთიკურია, არამედ ამორალურია და სერიოზული აკადემიური დანაშაულია.

- პლაგიატად მიჩნეულია:

- ა) სხვისი ნაშუქვის (იქნება ეს იდეა, ნაწერი, გამოსახულება, გრაფიკი, თუ სხვა მონაცემი) მითვისება ავტორის მითითების გარეშე; წყაროდან ზუსტად გადმოწერა ბრჭყალებში ჩასმის, ან სხვა ტიპის მითითების გარეშე, რომელიც ციტირებულ ტექსტს ნათლად გამოყოფს ავტორის ტექსტისგან. მითვისება შეიძლება შეეხოს რამდენიმე ფრაზას, ან

მთლიან ნაშრომს. პლაგიატი, როგორც აკადემიური არაკეთილსინდისიერების ფორმა, ნაშრომის ორიგინალურობასთან დაკავშირებით არასწორ/ცრუ წარმოდგენას ქმნის.

ბ) სხვისი მოსაზრების პერიფრაზი ავტორის ერთმნიშვნელოვანი მითითების გარეშე. პერიფრაზის შემთხვევაში ავტორის სიტყვების უმნიშვნელო ცვლილება, რაც ავტორობის საკითხს ბუნდოვანს ხდის, არ ჩანს, ვის იდეას ეხმაურება ავტორი და როდის. პერიფრაზის შემთხვევაში უნდა მიეთითოს და გაირკვეს, თუ სად არის სხვისი და სად ავტორის საკუთარი წვლილი.

გ) სხვადასხვა წყაროდან ამოღებული მოსაზრებების გაერთიანება ცალკეული ავტორების მითითების გარეშე (ზოგიერთ შემთხვევაში ნაშრომის ბოლოს მითითებულია ესა თუ ის მეცნიერი/ავტორი, მაგრამ ტექსტის კითხვისას შეუძლებელია გარჩევა, სად სრულდება ნაწერის ავტორის ორიგინალური მოსაზრება და სად არის ჩასმული ციტატები);

დ) თვითპლაგიატი(საკუთარი მოსაზრებების გამეორება მითითების გარეშე);

ე) ნაშრომის / პროგრამული უზრუნველყოფის ყიდვა(ჩითინ კონტრაქტი)

ვ) უცხოენოვანი წყაროდან თარგმანი მითითების გარეშე;

- **თანხვედრა** - სხვისი ნამუშევრის (იქნება ეს იდეა, ნაწერი, გამოსახულება, გრაფიკი, თუ მონაცემი) დამოწმება ავტორის მითითებით, წყაროდან ზუსტად გადმოწერა ბრჭყალებში ან სხვა ტიპის დამოწმება.

5. აღნიშნული წესი არეგულირებს სასწავლო უნივერსიტეტში პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და სანქციების საკითხებს.

6. პლაგიატის პრევენციისათვის გასატარებელი ღონისძიებები:

ა) აკადემიური/მოწვეული პერსონალის, მასწავლებლისა და სტუდენტების ინფორმირებულობის გაზრდა, შეხვედრების ჩატარება, პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის ინფორმაციის მიწოდება, ტრენინგების, ინსტრუქციების, გზამკვლევების შეთავაზება და ა. შ.)

ბ) სასწავლო და კვლევითი მიზნით შემუშავებული ნაშრომების საჯაროობის გაზრდა; სამეცნიერო ნაშრომების ელ. ბაზის შექმნა.

გ) სასწავლო უნივერსიტეტის მიერ აკადემიური/მოწვეული პერსონალის, მასწავლებლის თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარებისას პლაგიატის საკითხის გათვალისწინება, რაც გულისხმობს შემთხვევითი პრინციპით შერჩეული ნაშრომის პლაგიატის ამომცნობი პროგრამის საშუალებით შემოწმებას.

დ) სტუდენტური სერვისების შეთავაზება: აკადემიური წერის ცალკეულ მოდულებში, საბიბლიოთეკო სერვისების გამოყენებაზე, TURNITIN-ში ნაშრომების განთავსებასა და შემოწმებაზე;

7. წინამდებარე დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სასწავლო უნივერსიტეტში რეგისტრირებულ ყველა სტუდენტზე.

მუხლი 3. პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმები და სანქციები

1. პლაგიატის გამოვლენის მიზნით სასწავლო უნივერსიტეტში იქმნება პლაგიატის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია (შემდგომში - პლაგიატის კომისია), რომლის შემადგენლობაში შედიან:

ა) რექტორის მოადგილე;

ბ) სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

გ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელი;

- დ) სამეცნიერო სამსახურის უფროსი;
 - ე) უწყვეტი განათლების ცენტრის უფროსი (ტექნიკური მდივანი);
 - ვ) სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალი, რომელსაც იწვევს კომისია (საჭიროების შემთხვევაში).
2. პლაგიატის კომისია ამოწმებს სამეცნიერო ნაშრომებს პლაგიატის ამომცნობი პროგრამის საშუალებით.
3. პლაგიატის კომისიის ძირითად შემადგენლობას (გარდა შესაბამისი დარგის აკადემიური პერსონალისა, რომელსაც იწვევს პლაგიატის კომისია) ამტკიცებს აკადემიური საბჭო.
4. პლაგიატის დადასტურების თაობაზე პლაგიატის კომისიის დასკვნის შემთხვევაში:
- ა) დასაქმებულის ზეპირი/წერილობითი გაფრთხილება.
 - ბ) დასაქმებული თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან/უწყდება შრომითი ხელშეკრულება მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.
 - ბ) შრომით ურთიერთობებში ყოფნის პერიოდში აკადემიური თანამდებობის პირის მიერ პლაგიატის ფაქტზე არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა და სამომავლოდ შეიძლება გახდეს ხელახალი დასაქმების ხელშემშლელი გარემოება;
 - გ) აკადემიური/მოწვეული პერსონალის, მასწავლებლის, საკვალიფიკაციო ნაშრომში პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში პლაგიატის კომისიის დასკვნა ეგზავნება ფაკულტეტის საბჭოს შემდგომი რეაგირებისთვის;

მუხლი 4. აკადემიური პერსონალისათვის პროგრამის მოქმედებისა და მოხმარების წესი

1. სასწავლო უნივერსიტეტში პლაგიატის ამომცნობი პროგრამა Turnitin -ი მოქმედებს Moodle-ის პლატფორმაზე, რომელიც გამოიყენება სასწავლო დანიშნულებით და ხელმისაწვდომია ყველასთვის.
2. Turnitin-ის პროგრამის ეფექტურად გამოყენების მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი რეგისტრირდება Moodle-ის პლატფორმაზე ინდივიდუალურად და ხდება მისი მომხმარებელი (user).
3. დანერგვის პროცესში ტექნიკურ მომსახურებასა და კონსულტაციას უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმა Moodle-ის ადმინისტრატორი/უწყვეტი განათლების ცენტრის უფროსი.
4. Turnitin-ის პროგრამით პლაგიატის კომისიის მიერ გამოვლენილი პლაგიატის/თანხვედრის შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ვალდებულია პლაგიატის კომისიის რეკომენდაციის მიღებიდან ათი კალენდარული დღის განმავლობაში უზრუნველყოს ნაშრომის სრულყოფა/ციტირება და ვადის დაცვით, განმეორებით წარუდგინოს პლაგიატის კომისიას, კომისიის დასკვნის მისაღებად.
5. პლაგიატის არ დადასტურების შესახებ პლაგიატის კომისიის დასკვნის საფუძველზე ნაშრომის დასაბეჭდად წარდგენის გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო და გადაწყვეტილებას წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.
6. სამეცნიერო ნაშრომში თანხვედრის დასაშვები პროცენტული მაჩვენებელი შეიძლება მერყეობდეს 20-დან 30%-მდე დარგის, სფეროს, საკვლევი ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე.

მუხლი 5. პროგრამის მოქმედებისა და მოხმარების წესი სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის.

1.სტუდენტის ნაშრომი კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული კრიტერიუმების მიხედვით ფასდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის შემოწმდება სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი პლაგიატის ამომცნობი პროგრამის Turnitin-ის საშუალებით.

2. Turnitin-ის პროგრამის ეფექტურად გამოყენების მიზნით, სასწავლო უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები რეგისტრირდებიან Moodle პლატოფორმაზე ინდივიდუალურად და ხდებიან მისი მომხმარებელი (user).

3. Turnitin-ის პროგრამის მოხმარების საფეხურებია:

1) წერითი დავალებისთვის:

ა) სტუდენტის მიერ წერითი დავალების ატვირთვა - წერით დავალების Turnitin-ის პროგრამაზე წარდგენის კვირაა სასწავლო სემესტრის მე-14 კვირა, წერითი დავალების საბოლოო წარდგენამდე 2 კვირით ადრე.

ბ) ნაშრომის სპეციფიკისა და საკვლევი თემის აქტუალობის გათვალისწინებით მიიღება გადაწყვეტილება თანხვედრის დასაშვები ზღვრული პროცენტული მაჩვენებლის შესახებ. ზღვრული პროცენტული მაჩვენებელი შეიძლება მერყეობდეს 25%-დან 30%-მდე.

გ) ატვირთული დავალების ტექნიკურ მომსახურებასა და კონსულტაციას უზრუნველყოფს სასწავლო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის უფროსი.

დ) Turnitin-ის პროგრამაში გამოვლენილი პლაგიატის შემთხვევაში სასწავლო კურსის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებითა და რეკომენდაციებით სტუდენტს პლაგიატის მაღალი პროცენტული მაჩვენებლის შემთხვევაში ეძლევა საშუალება ერთი კვირის განმავლობაში სრულყოს წერითი დავალება.

ე) წერითი დავალება Turnitin-ის პროგრამაში გატარდება მე-15 კვირას.

ვ) წერითი დავალება არ შეფასდება დავალების პროგრამაში ხელახლა შემოწმების გამოტარების შედეგად აღმოჩენილი პლაგიატის შემთხვევისას, გადაწყვეტილებას ამის შესახებ იღებს სასწავლო კურსის ხელმძღვანელი.

2. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომისთვის:

ა) საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი დაცვამდე ერთი თვით ადრე პლაგიატის კომისიის მიერ უნდა გატარდეს Turnitin-ის პროგრამაში.

ბ) **საბაკალავრო ნაშრომი** - სტუდენტი დასრულებული საბაკალავრო ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას ხელმძღვანელის დასკვნასთან ერთად დაცვამდე წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს, რომელიც გადასცემს მას პლაგიატის კომისიას.

- თანხვედრის მაჩვენებლის 30% -ზე მეტის არსებობის ან პლაგიატზე ეჭვის შემთხვევაში ნაშრომი ხარვეზის გასწორების რეკომენდაციით უზრუნველდება ავტორს არაუმეტეს 10 კალენდარული დღისა. სტუდენტს ვადა განესაზღვრება მხოლოდ მაშინ, თუ კომისია მის აღმოფხვრას მიიჩნევს შესაძლებლად.

- განსაზღვრულ ვადაში სტუდენტი ხელახლა წარმოადგენს ნაშრომს, რომელსაც ამოწმებს პლაგიატის კომისია შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაყრდნობით. პლაგიატის კომისიას ნაშრომის ხელახლა განხილვისთვის ეძლევა 5 კალენდარული დღე.

- პლაგიატის ან თანხვედრის მაჩვენებლის 30% -ზე მეტის განმეორებით დადასტურების შემთხვევაში კომისია წერს **დასკვნას**, რომლის საფუძველზეც საბაკალავრო ნაშრომს არ მიეცემა მსვლელობა, ხოლო შესაბამისი რეაგირება ხდება და გადაწყვეტილება მიიღება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, სასწავლო უნივერსიტეტის წესდებით, სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების შესაბამისად.

- შემთხვევის შესწავლის და ბაკალავრის მუშაობასთან დაკავშირებული ისტორიის გაცნობის შედეგად ფაკულტეტის საბჭომ შეიძლება მიიღოს ორი სახის გადაწყვეტილება:

1. სტუდენტს მისცეს დამატებითი გონივრული ვადა ნაშრომის გამოსასწორებლად;

2. სტუდენტის ნაშრომი ცნოს დისკვალიფიცირებულად, რის შედეგადაც მას მოუწევს ახალი ნაშრომის მომზადება.

გ) სამაგისტრო ნაშრომი - სტუდენტი დასრულებული სამაგისტრო ელექტრონულ ვერსიას ხელმძღვანელის დასკვნასთან ერთად დაცვამდე, არაუგვიანეს ერთი თვისა, წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს, რომელიც გადასცემს მას პლაგიატის კომისიას.

- თანხვედრის მაჩვენებლის 30% -ზე მეტის არსებობის ან პლაგიატზე ეჭვის შემთხვევაში ნაშრომი ხარვეზის გასწორების რეკომენდაციით უბრუნდება ავტორს არაუმეტეს 10 კალენდარული დღის ვადით. სტუდენტს ვადა განესაზღვრება მხოლოდ მაშინ, თუ პლაგიატის კომისია აღმოჩენილ დარღვევას ძირითადად ტექნიკური ხასიათის შეცდომის კვალიფიკაციას მისცემს და მის აღმოფხვრას მიიჩნევს შესაძლებლად.
- განსაზღვრულ ვადაში მაგისტრანტი ხელახლა წარმოადგენს ნაშრომს, რომელსაც ამოწმებს პლაგიატის კომისია შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაყრდნობით. პლაგიატის კომისიას ნაშრომის ხელახლა განხილვისთვის ეძლევა 5 კალენდარული დღე.
- პლაგიატის ან თანხვედრის მაჩვენებლის 25% -ზე მეტის განმეორებით დადასტურების შემთხვევაში კომისია წერს დასკვნას, რომლის საფუძველზეც სამაგისტრო ნაშრომს არ მიეცემა მსვლელობა, ხოლო შესაბამისი რეაგირება ხდება და გადაწყვეტილება მიიღება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, სასწავლო უნივერსიტეტის წესდებით, სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების შესაბამისად.
- შემთხვევის შესწავლისა და მაგისტრანტის მუშაობასთან დაკავშირებული ისტორიის გაცნობის შედეგად ფაკულტეტის საბჭომ შეიძლება მიიღოს ორი სახის გადაწყვეტილება:
 1. მაგისტრანტს მისცეს დამატებითი გონივრული ვადა ნაშრომის გამოსასწორებლად;
 2. მაგისტრანტის ნაშრომი ცნოს დისკვალიფიცირებულად, რის შედეგადაც მას მოუწევს ახალი ნაშრომის მომზადება.

მუხლი 6. პლაგიატის კომისიის საქმიანობის პრინციპები, მიზანი და ამოცანები

1. პლაგიატის კომისია ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:

- ა) კანონიერება;
- ბ) სამართლიანობა;
- გ) კეთილსინდისიერება;
- დ) კონფიდენციალურობა (კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით);
- ე) ობიექტურობა;
- ვ) მიუკერძოებლობა.

2. პლაგიატის კომისიას ევალება წინამდებარე წესის შესაბამისად შეისწავლოს:

- ა) აკადემიური/მოწვეული პერსონალის, მასწავლებლების ნაშრომები და წარმოადგინოს დასაბუთებული დასკვნა.
 - ბ) სტუდენტთა საბაკალავრო და სამაგისტრო ნამუშევრები დაცვამდე და წარმოადგინოს დასაბუთებული დასკვნა.
3. პლაგიატის არსებობა/არარსებობის საკითხი განიხილება, მიუხედავად იმ გარემოებისა, თუ შესაძლო დარღვევას-პლაგიატს სად და როდის ჰქონდა ადგილი.
4. პლაგიატის კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას:

ა) კომისიის მიერ შემუშავებული წლიური გრაფიკის საფუძველზე. წლიური გრაფიკის შედგენის წესსა და პრიორიტეტებს შეიმუშავებს კომისია წლის დასაწყისში.

ბ) უნივერსიტეტის კანცელარიის გზით შემოსული განცხადების საფუძველზე;

5. პლაგიატის კომისიის თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს ირჩევს თავის პირველ სხდომაზე. კომისიის პირველ სხდომას უძღვება - თავმჯდომარეობს უხუცესი წევრი, რომელიც უფლებამოსილია ხელი მოაწეროს კომისიის მიერ პირველ სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. კომისიის სხდომას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც ასეთ შემთხვევაში სარგებლობს თავმჯდომარის უფლებამოსილებებით.

6. პლაგიატის კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას ელექტრონული პლატფორმა MOODLE პროგრამაში დისტანციურ რეჟიმში.

7. პლაგიატის კომისია თავის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

8. პლაგიატის კომისიის თავმჯდომარეს ევალება:

ა) კომისიის ხელმძღვანელობა, მისი მუშაობის ორგანიზება დადგენილი პროცედურებისა და წინამდებარე წესის საფუძველზე;

ბ) კომისიის სხდომების დანიშვნა, მათი ჩატარების ადგილისა და დროის განსაზღვრა;

გ) სხდომებისათვის დოკუმენტაციისა და მასალების მომზადების კონტროლი;

დ) კომისიის სხდომების წარმართვა;

ე) კომისიის დასკვნის წარდგენა საჭიროებისამებრ;

ვ) კომისიის სხდომაზე პროგრამის ხელმძღვანელის ან/და საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელის მოწვევა (საჭიროების შემთხვევაში).

9. კომისიის მდივანს ევალება:

ა) კომისიის წევრებისათვის სხდომების დროისა და ადგილის შეტყობინება;

ბ) კომისიის წევრების საჭირო მასალებითა და დოკუმენტაციით უზრუნველყოფა;

გ) კომისიის მუშაობის ოქმების წარმოება;

დ) კომისიის თავმჯდომარის იმ დავალებების შესრულება, რომელიც კომისიის მუშაობასთანაა დაკავშირებული.

10. პლაგიატის კომისიის წევრს ევალება:

ა) დაესწროს კომისიის სხდომებს, მიიღოს მონაწილეობა მის მუშაობაში; არასაპატიო მიზეზით კომისიის მუშაობაში უარის თქმა იწვევს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას;

ბ) საკუთარი მოსაზრება დააფიქსიროს კენჭისყრითა და ხელმოწერით (საჭიროების მიხედვით);

გ) თვითაცილების საფუძველს არსებობის შემთხვევაში იმოქმედოს კანონშესაბამისად.

დ) დაიცვას საყოველთაოდ აღიარებული ეთიკის ნორმები და სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისტანციური პასუხისმგებლობის ნორმები.

11. კომისიის წევრის სტატუსის შეწყვეტის საფუძველებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) პირთან ადმინისტრაციულ/აკადემიურ თანამდებობაზე შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა;

გ) არასაპატიო მიზეზით კომისიის მუშაობაში უარის თქმა;

დ) საყოველთაოდ აღიარებული ეთიკის ნორმებისა და სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისტანციური პასუხისმგებლობის ნორმების დარღვევა.

12. პლაგიატის კომისიის მუშაობის ფორმატი

1. კომისიის სხდომები დახურულია. კომისიის საქმიანობა ფორმდება კომისიის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. კომისიის მომდევნო

სხდომის დღის წესრიგს ადგენენ თავმჯდომარე და მდივანი, რომელიც ეცნობება კომისიის წევრებს, რომლებსაც უფლება აქვთ დღის წესრიგში შეიტანონ ცვლილება ან/და დამატება სხდომამდე არაუგვიანეს 1 დღით ადრე. კომისიის სხდომა ინიშნება განცხადების შემოსვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. კომისია გადაწყვეტილებას იღებს **დასკვნის ან რეკომენდაციის** სახით. კომისიის მიერ მიღებულ დასკვნას ხელს აწერს პლაგიატის კომისიის თავმჯდომარე და კომისიის ყველა წევრი, რეკომენდაციას ხელს აწერს მხოლოდ კომისიის თავმჯდომარე.

2. პლაგიატის კომისია ვალდებულია, 10 სამუშაო დღის ვადაში, შეადგინოს რეკომენდაცია ან დასკვნა (დანართი 2).

3. რეკომენდაციაში აისახება:

- ა) ინფორმაცია იმ პირის შესახებ ვის მიმართაც ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება;
- ბ) ინფორმაცია შესწავლილი მასალის შესახებ;
- გ) შესწავლის მიზნით განხორციელებული პროცედურები, ხერხები და მეთოდები;
- დ) გასატარებელი ღონისძიებები;
- ე) რეკომენდაციის შესასრულებელი ვადა.

4. დასკვნაში აისახება:

- ა) ინფორმაცია იმ პირის შესახებ ვის მიმართაც ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება;
- ბ) ინფორმაცია შესწავლილი მასალის შესახებ;
- გ) შესწავლის მიზნით განხორციელებული პროცედურები, ხერხები და მეთოდები;
- დ) პლაგიატის არსებობის ან არარსებობის დასაბუთება;
- ე) დასკვნითი ნაწილი.

ვ) შედგენილი დასკვნის დასკვნით ნაწილში პლაგიატის კომისია ვალდებულია, პირდაპირ მიუთითოს და დაასაბუთოს პლაგიატის არსებობა ან არარსებობის შესახებ.

5. პლაგიატის კომისიის დასკვნას ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი, რომელმაც მხარი დაუჭირა მიღებულ გადაწყვეტილებას. კომისიის განსხვავებული აზრის მქონე წევრი, ვალდებულია, განსხვავებული აზრი დასკვნის შედგენიდან 2 დღის ვადაში კომისიას წარუდგინოს წერილობით, რომელიც დაერთვება კომისიის დასკვნას.

6. კომისიის დასკვნა იგზავნება საჭიროებისამებრ.

7. კომისიის საქმის წარმოების ყველა მასალა ინახება კომისიის მდივანთან საამისოდ გამოყოფილ უსაფრთხო ადგილას.

8. კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, დარეგულირდება კომისიის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და სასწავლო უნივერსიტეტში არსებული რეგულაციების შესაბამისად.

მუხლი 7. გადაწყვეტილების გასაჩივრება (აპელაცია)

1. აკადემიური პერსონალი, სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება პლაგიატის კომისიის და/ან ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებას, უფლება აქვს დასკვნის გაცნობიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღის განმავლობაში წერილობით მიმართოს სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს და მოითხოვოს საკითხის აპელაცია;

2. სააპელაციო განცხადებაში დასაბუთებული უნდა იყოს გასაჩივრების საგანი და არგუმენტები, ზოგადი ხასიათის სააპელაციო განაცხადი არ განიხილება.

3. სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი სააპელაციო განაცხადის მიღებიდან სამი დღის განმავლობაში ქმნის დროებით სააპელაციო კომისიას დარგის/მიმართულების სპეციალისტის გათვალისწინებით. სააპელაციო კომისია შეიძლება დაკომპლექტდეს სასწავლო უნივერსიტეტის გარედან მოწვეული წევრებისაგან;

4. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

მუხლი 5. წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

წესში ცვლილებები და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით.